ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა საყურადღებოდ!

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ეკოლოგიის საბაკალავრო (ასევე დამატებითი) პროგრამის სტუდენტებისთვის ცხადდება კონკურსი პროექტის „ნარჩენების ეფექტური მართვა ჩვენი ჯანსაღი მომავლისთვის“** ფარგლებში.

პროექტს, რომელიც დაფინანსებულია „ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ, ახორციელებს უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაცია **„ტოლერანტი“.** პროექტის განხორციელების პერიოდი: 01.06.2021 – 01.06.2022.

პროექტის მიზნები:

- ნარჩენების მართვის შესრულების ხუთწლიანი სამოქმედო გეგმისა და სისტემის მონიტორინგი ახალციხის მუნიციპალიტეტში;
- უნივერსიტეტის ეკოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების ჩართულობით მოხალისე მკვლევართა ჯგუფის შექმნა, მათი ჩართულობით მონიტორინგის გეგმის განხორციელება და შედეგად გამოვლენილი პრობლემების/საჭიროებების ადვოკატირება;
- მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ნარჩენების მართვის შესახებ საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება.

პროექტში დაგეგმილი აქტივობები ეკოლოგიის პროგრამის სტუდენტებს ხელს შეუწყობს ასევე აკადემიური უნარების განვითარებაში, კერძოდ:

- **კვლევითი უნარების შეძენასა და საბაკალავრო ნაშრომის მომზადებაში;**
- **პრაქტიკული უნარების შეძენაში;**
- **სასაწავლო კურსებით გათვალისწინებული საკითხების უკეთ გააზრებაში.**

პროექტის დასრულების შემდგომ სტუდენტები მიიღებენ უნივერსიტეტისა და „ტოლერანტის“ ერთობლივ სერტიფიკატს.

სტუდენტები შეირჩევიან სამოტივაციო წერილისა და გასაუბრების საფუძველზე. სამოტივაციო წერილი მიიღება 16 ივნისიდან 21 ივნისის ჩათვლით მისამართზე:

contact@sjuni.edu.ge ელ. ფოსტის სათაურის ველში (subject) აუცილებლად მიუთითეთ პროექტი ეკოლოგიის სტუდენტებისთვის.